# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-327

24/03/2021

ქ. თბილისი

**,,ახალციხის მუნიციპალიტეტში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-8) ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 80 (79+550)-ზე მშრალ ხევზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 მარტის N 2-240 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 მარტის N 2-240 ბრძანებით გაიცა ახალციხის მუნიციპალიტეტში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-8) ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 80 (79+550)-ზე მშრალ ხევზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N23 (18.02.19).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-8) ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 80 (79+550)-ზე მშრალ ხევზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 მარტის N2-240 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი